№ 89 აპრილი 29, შაბათი 1889 აპრილი 29, შაბათი № 89

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორგა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა,— რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდამ.

ტფილისი, 28 აპრილი

ორმა დიდმა წარმოებამ იჩინა ამ ბოლოს დროს თავი ჩვენში, მაგრამ ორთავე წარმოებას ორი დიდი დაბრკოლებაც დახვდა. შავის ქვის წარმოებას ამერიკის მარგანეცი ჩაუდგა ჯიბრში და ნავთის წარმოების კიდევ—ჩვენი რკინის გზა, რომელსაც არ შეუძლიან საკმაო დაწმენდილი ნავთი გადაზიდოს შავ-ზღვამდე. ამ ორმა დაბრკოლებამ ძალიან შეაფერხა ეს ორი დიდი წარმოება, რომლის მადანი აუარებელი და ულეველი აღმოჩნდა. შავის ქვის მაღარო-მღვიმეებიც და ბაქოს ნავთის წყაროებიც ისეთი მდიდარია, რომ მათის გამოლევის ფიქრი არავის არ აწუხებს. თუნდ რომ ერთგან გამოილიოს, მცოდნე კაცების სიტყვით, კავკასიაში ბევრგან სხვაგანაც გამოჩნდება ნავთის-წყაროებიცა და შავის ქვის მადნებიცა. ამ გვარად ბევრი ხელი და აუარებელი ფული მიეტანა ამ უსაზღვროდ აღმოჩენილს წყაროს სიმდიდრისას და ნავთისა და შავის ქვის წარმოებამაც ფრთა შეისხა, წლობითა და თვეობით-კი არა, დღეობითა და საათობით იზრდებოდა, მატულობდა. ერთს წელიწადს რომ ასი ათასი ფუთი ამოეღოთ, მეორეს— ერთი-ორად მეტს იღებდნენ. მუშტარიც მატულობდა, ბაზარი თანდათან უფრო მეტს თხოულობდა. კაცს ეგონებოდა, რომ ეს არის საქმეს ხელს აღარა შეუშლის-რა და აუარებელი სიმდიდრე წვიმასავით წამოვაო. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა და ფრთა შესხმულმა მწარმოებლებმა მალე ჩამოუყარეს ყურები.

რამ დააბრკოლა ასეთი სახეირო და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე? ერთიცა და მეორეც დააბრკოლა უფრო უგზოობამ. ახლა-კი მთავრობა სცდილობს ორივე ეს დაბრკოლება აიცილოს თავიდამ ამ ფრიად საყურადღებო და სახეირო საქმეებს. მთავრობას მხედველობაში მიუღია ჭიათურის მადნების პატრონთა თხოვნა და გზათა მინისტრს გამოუცხადებია მათთვის, რომ დაბრკოლებას არასა ვხედავ, ჭიათურა რკინის გზით შეუერთდეს მთავარს შტოს ამიერ-კავკასიის რკინის გზისასაო. ხოლო ჭიათურის რკინის გზა კვლავ ფეხზე წამოაყენებს და აღორძინებს შავის ქვის წარმოებას ჩვენში, რადგან გზის სიძვირის გამო აქამდე ჩვენებურმა შავმა ქვამ ველარ შესძლო შეცილება ამერიკის შავის ქვისა ევროპის ბაზარში.

რაიცა შეეხება ნავთის წარმოების საქმეს და იმის გაჭირებას, უნდა ვსთქვათ, რომ იმედია აქაც დიდხანს არ დაიგვიანებს წამალი და ეს ნავთის წარმოება მალე გამოვა იმ გაჭირებიდამ, რომელშიაც დღეს არის. ხოლო გაჭირება დიდია, იმიტომ-რომ ბაქოში რაც ნავთი იწმინდება, არ იციან სად წაიღონ და რას წააღებინონ ევროპაში. რკინის გზას, რაც დღეს გადააქვს ბათუმში, მეტის გადატანა აღარ შეუძლიან. გვირაბიც რომ გაკეთდება სურამისა, მაშინაც მხოლოდ მცირეოდნად იმატებს გადატანა დაწმენდილის ნავთისა. ამასობაში-კი ბაქო ლამის ნავთმა წალეკოს, ქარხნები ტყუილად დგანან, ნავთი ტყუილად იღუპება და ჩალის ფასიც არა აქვს. ერთად-ერთი ღონის-ძიება ამ აუარებელის ნავთის ბაზარში გასატანად არის გაკეთება ნავთის გამყვანის მილისა ბაქოდამ ბათუმამდე. მაგრამ ბაქოს მექარხნენი არა ყაბულობენ ამას. ნავთი რომ მილით ბათუმში წავიდეს, ნავთის დასაწმენდი ქარხნები იქ დაიმართება და ჩვენ რიღას მოვაგლახენი ვიქმნებითო. შიდა რუსეთის მრეწველნი და მწარმოებელნიც ეწინააღმდეგებიან ნავთის მილს. ბაქოს ქარხნებიდამ ეხლა იაფი ნაშთები მოგვდის საწვავად ბაქოდამ და ბათუმში რომ გადავიდეს წმენდა ნავთისა, საიდგამღა მივიღებთ საჭიროსა და იაფს ნაშთებს ჩვენის სამანუფაქტურო ქარხნებისათვისაო. ეწინააღმდეგებიან მილს აგრეთვე ისინი, რომელნიც გემებს ამუშავებენ რუსეთსა და ბაქოს შუა კასპიის ზღვაზე და ნავთის და მის ნაშთთა გადასატანად საკმაოდ ივსებენ ჯიბეებს. ბათუმში რომ ქარხნები დაარსდეს, ხომ ის ქარხნები იტვირთებენ ევროპაშიაც და რუსეთშიაც გზავნას დაწმენდილის ნავთისასაც და მის ნაშთებისასაცაო. ჩვენ ხომ ცარიელ-ტარიელები დავრჩებით და პირში ჩალა გამოგვევლებაო.

ასეთს მდგომარეობაშია დღეს ორი დიდი წარმოება ამიერ-კავკასიისა. ცხადია, რომ ბაქოს მექარხნენიცა, იქაურ გემების პატრონებიცა და მოსკოვის მრეწველნი და მეფაბრიკენიც ტყუილა-უბრალოდ წიწინებენ და ამ წიწინით ერთად-ერთს ბუნებურს გზას ვერ მოუსპობენ ნავთის წარმოებას თავის გასაძლიერებლად და ევროპაში თავისუფლად გასასვლელად, და არც მათთვის იქნება ეს შეხუთვა წარმოებისა სახეირო და სასარგებლო. მოსკოვის მექარხნეებმა, თუ იაფი საწვავი უნდათ, იქ უნდა გადინაცვლონ, საცა იაფი საწვავია. გემების პატრონებს კიდევ თავიანთი სამყოფი საზიდი ტვირთი ექნებათ. ხოლო რაც შეეხება ბაქოს მექარხნეებს, ესენიც არას წააგებენ, იმიტომ-რომ ჯერ ვიდრე ნავთის მილი გაკეთდებოდეს, ხუთი წელი მაინც გაივლის და მერე კიდევ მთავრობა პირობით ეკვრის მილის გამყვანს, რომ 80 მილიონ ფუთზე მეტი არ უნდა გადიტანოს დაუწმენდელი ნავთი. აქედამ მხოლოდ 25 მილიონი წმინდა ნავთი გადაკეთდება ბათუმის ქარხნებში. მამასადამე, ამ ქარხნების ცილობასაც საზღვარი და მიჯნა ექმნება დადებული. ამასობაში-კი რუსეთში და ევროპაში ნავთის საჭიროება იმატებს და იმდენი საქმე, რაც დღეს აქვს ბაქოს ქარხნებს, მუდამ ექმნება...

თუ მაინც ბაქოს ნავთის მწარმოებლებმა არ დაიშალეს თავიანთი და ხელი შეუშალეს დაუწმენდელის ნავთის მილის გაყვანას, რომელიც საყოველთაო სახმარებელი იქმნება, შეიძლება გადაწმენდილის ნავთის მილები და აწყონ მდიდარმა ფირმებმა კერძოდ თავიანთის ხარჯით და ამას ხომ ვეღარ დაუშლიან. მაშინ უფრო ცუდად მოუვათ საქმე ბაქოს ნავთის მწარმოებელთ და, შეიძლე-

## ფელეტონი

### აი ისტორია

(წერილი მეხუთე*)

მოგვითხრა-რა თავისებური ისტორია მოსოხთა, თუბალთა და კოლხიდელთა ხსენებისა, ავტორი „Письма о Грузіи“-სა გვეუბნება, რომ ისტორია ათასის წლის[1]) დუმილის შემდეგ ხელ-ახლადახსენებს პირველად,—ისიც გზა და გზა,—თუბალებსა და მოსოხებსაო. ვინ არიან ეს თუბალები და მოსოხები ბიბლიისა და საამიცანო კოლხიდელნი არგონავთებისაო, ჰკითხულობს შედარებითის მეთოდის და კრიტიკის თვით-მპყრობელი ავტორი. ეგენი არიან ქართველთა ნათესაობის შტონიო, გვაუწყებს იგი იქვე. ჩვენც აგრე გვგონია, მაგრამ ამისათვის მარტო ერთი და ისიც სასაცილო საბუთი მოჰყავს ყველაფერზედ ეჭვით მჭვრეტელს ავტორს.

ამ შტოების ერთმანეთთან ნათესაობა იმითი მტკიცდებაო, რომ, ჰეროდოტეს სიტყვით, სპარსეთის მეფის ქსერქსის ლაშქარში ყველა ესენი ერთის მხედართ-უფროსის ხელში იყვნენო[2]). სთქვა და თავისი ხელთ-უქმნელი ბეჭედი დაასვა. მოდით და შეშალეთ-ღა, მოდით და ამისთანა ჭკუათა-უქმნელს ფილოსოფიას გაექეცით სადმე. მაშ ყალმუხები, ყაზანის თათრები, ებრაელნი, ქართველები, რუსები და სხვა მრავალის ტომის კაცნი სულ ერთის ნათესაობისანი ყოფილან, რადგანაც რუსეთის იმპერიაში, თუ მუდამ არა, ხშირად მაინც ერთის მხედართ-უფროსის ხელში არიან. ამას გვიქვიან შედარებითის მეთოდით კვლევა სხვა-და-სხვა ერთა ნათესაობისა! ამას იქით თუ გნებავდეთ შეიტყოთ სიპაები და ინგლისელნი როგორ მოჰხვდებიან ერთმანეთსა, მარტო ის გამოიძიეთ—ერთის მხედართ-უფროსის ხელში არიან, თუ არა. ეს გახლავსთ შედარებითი მეთოდი ავტორისა. რადგანაც ენას ბრწკალი არ მოედება, შესაძლოა გვითხრან,—ეჰ, თქვენ რა იცით რა არის ფილოსოფია ისტორიისაო. ჩვენ ამაზედ ვიტყვით, რომ თვით ისტორიის ფილოსოფიამაც არ იცის ეს ამისთანა ფილოსოფია ავტორისა.

ამით ათავებს ავტორი აღმოსავლეთ საქართველოს ამბავს მოსოხთა, თუბალთა ხსენებისას და ვინაობისას. მერე ამბობს, რომ რაც შეეხება დასავლეთს საქართველოსას, აქ ჯერ კიდევ 3200 წლის წინად ქრისტეს შობამდე ძლევა-მოსილი მხედრობა ეგვიპტის მეფის რამზეს დიდისა კოლხიდაში შევიდა და რამდენიმე ეგვიპტელთა სოფელი გააშენაო. აქ ავტორი იმასაც გვაუწყებს, ვითომც ჩვენ ქართველებს ამ რამზესისაგან დასახლებულ ეგვიპტელთაგან გვესწავლოს ხვნათესვა და ზოგიერთი სხვა ხელობა. ამაზე საუბარი მერე გვექნება, როცა ავტორს გამოვიწვევთ ჩვენის ძველის კულტურის სათხრობლად. ეხლა-კი მარტო ავტორის ისტორიულ მეცნიერებას ვიძიებთ.

ავტორი პლინის იმოწმებს,—ისიც სულხან ბარათაშვილის[3]) სიტყვითა— მასზედ, ვითომც რამზეს დიდი კოლხიდაში ყოფილიყოს ოდესმე. დიდი საქმე იყო განა, რომ ავტორს, კრიტიკის ასეთს ტრფიალს, ეს ამბავი მართლა კრიტიკით გამოეძია. ეხლა ხომ დამტკიცებულია და ყოველ ეჭვ გარედაც დაყენებულია, რომ ეგვიპტელნი საზოგადოდ და რამზეს დიდი საკუთრივ თავის დღეში არ გადმოსცილებიან ორონთას, მდინარეს ასსურეთის დასავლეთზე, რომელზედაც იდგა ქალაქი კადეში. ან რა ჭკუაში მოსასვლელი იქნებოდა ეგვიპტელთათვის კოლხიდაში გამოსვლა, როცა მათი ერთად-ერთი ტკივილი და ნაღველი ის იყო, რომ ევფრატის[4]) მხრით უშიშარ ყოფილიყვნენ. მათი პოლიტიკა აქ სულ იმაზედ ჰტრიალებდა, რომ ასსურეთი დაემხოთ და დაემორჩილებინათ ზღვის პირი სირიისა[5]), საიდამაც მტერნი მოსვენებას არ აძლევდნენ. ან თუნდ ესეც არ იყოს, როგორ გასცილდებოდნენ ამ ქვეყნებს და შევიდოდნენ კოლხიდაში, როცა ასურელებისა და სირიელებისთანა დაუძინარნი მტერნი ზურგთ უკან დაჰრჩებოდათ. რა თქმა უნდა, მხედართ-მთავრად, ან ბედის გამგებლად ეგვიპტელებს რომ ჩვენი ავტორი ჰყოლებოდათ, უფრო შორსაც წავიდოდნენ, ვითომც ნახტომი შეეძლებოდათ თუ. მაგრამ ეგვიპტის ბედზედ სულ სხვა კაცები, უფრო წინდახედულები შესწრებიათ, თორემ მალე გადაიჩეხებოდნენ სადმე კლდეში.

ან რაღა შორს წასვლა გვინდა: ლენორმანმა, ამ სახელ-განთქმულმა მცოდნემ აღმოსავლეთისამ, რომლის ავტორიტეტი ამისთანაებში შეურყეველია, კარგა ხანია თვით ჰიეროგლიფურ ნაწერებით დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ეგვიპტელნი კავკასიაში არასოდეს არა ყოფილან და ამ სახით, პლინის ტყუილი, კოლხიდაში ეგვიპტელთა შემოსვლის შესახებ, გამოაქვეყნა[6]). ჩვენმა ავტორმა-კი ჯერ ხომ ასე მჩვარში გაახვია ჩვენი ქართველი მეისტორიენი, მათი ნაწერები მასალადაც გამოსადეგნი არ არიანო. ეხლა-კი ერთი ამ ქართველთა მეისტორიეთაგანის, სახელდობრ, ბარათაშვილის ნაწერი მასალად-კი არა, საბუთადაც გამოიყენა, რომ მსოფლიო ისტორიაში უკვე დადგენილი და დამტკიცებული ამბავი გაამტყუნოს.

ამ ზღაპრების შემდეგ ავტორი თითქმის ცხრა გვერდს ანდომებს სხვა ზღაპრებს, რომელნიც შეეხებიან ქართულს ენას, სარწმუნოებას, არქეოლოგიას, კულტურას, ხან სად ჩახხირულს, ხან სად-ვიმეორებთ—თვითვეულს ამას ჩვენ ცალკეც გამოვიძიებთ. ეხლა-კი ჩვენც ავტორსავით იმ რვა-ცხრა გვერდს თავს გადავახტებით და მუხლ მოვუყრით ისევ ისტორიულ ამბების მოთხრობას, რომელსაც იგი განაგრძობს მეორე წერილში წინანდებურის ხელგაშლითა და ცოდნის ქადილით.

პირველ წერილში ავტორმა ხომ და ასკვნა, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდამ მეშვიდემდე არავისლა უხსენებია ქართველებიო და როცა ამ მეშვიდე საუკუნეში სკვითებმა ქარ-ტეხილსავით გადალახეს კიდით-კიდემდე აზიაო, მაშინ კვლავ იხსენიებიან მოსოხნი და

*) იხ. „ივერია“ №№ 71, 77 78 და 83.

[1]) ეხლა ათასის წლის დუმილია, ათის სტრიქონის წინად ხომ რვაასი იყო ამავ ავტორის სიტყვით. ამ სახით ორასი წელიწადი მიაფუჩეჩა ავტორმა ათის სტრიქონის მანძილზე. ჰნახეთ ავტორის პირველ წერილის 55 და 56 გვერდი.

[2]) ხუმრობა-კი არ გეგონოთ: ჰნახეთ ავტორის პირველ წერილის 56 გვერდზედ სხოლიო.

[3]) ღირს შესანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ავტორი თ. სულხან ბარათაშვილს ხელსა ჰკიდებს მოწმად და თვით სულხან ბარათაშვილის ნაწერი დედანი-კი არ წაუკითხავს და დასჯერებია ბ-ნ მურიესაგან ფრანგულად შემოკლებულ ნათარგმნსა. ამას თვითონ ავტორი გვანიშნებს პირველ წერილის 57 გვერდზედ სხოლიოში.

[4]) ვებერი, ტ. I, გვერ. 193

[5]) იქავ, გვერდი 196.

[6]) ეს ტყუილი რამზესის ვითომ-და ყოფნისა კოლხიდაში ეხლა საისტორიო სახელმძღვანელოშიაც კია შენიშნული. ჰნახეთ ტრაჩევსკის „Древняя Исторія“, გვერდი 40. მოდით და ამას იქით ენდეთ-ღა ავტორის ცოდნასა და იმის თავ-მოწონებულ ძიებას ჩვენის ძველის-ძველ ცხოვრებისას. გამოძიებულიც რომ თვალით არ დაუნახავს, აბა გამოუძიებელს როგორღა დაინახავდა.

ბა, თითოეულს მდიდარს კერძო მწარმოებელს'აც ჩაუცვივდნენ ხელში...

ბ. უ.

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, აზნ. მიხეილ წინამძღვრიშვილს, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ იცნო ცოლის მკვლელობაში და რომელსაც უვადოდ კატორგა გადაუწყვიტა, უკმაყოფილება გამოუცხადებია ასეთის განაჩენის გამო, სრული მოიმედეა გამართლებისა და ამის გამო პალატაში გადააქვს თავისი საქმე.

*** ჩვენ უკვე მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნი „გეომეტრია“, შედგენილი მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისაგან. წიგნი სუფთად არის გამოცემული, სულ 204 ფურცელს შეიცავს და შიგ 214 საგეომეტრიო ნაკვთი აქვს ჩართული. ფასიც იაფი აწერია—ორი აბაზი.

*** როგორც შევიტყეთ, რ. ჯაჯანაშვილს, მასწავლებელს სათავად-აზნაურო სკოლისას, შეუდგენია საყმაწვილო, ანბანს შემდეგ მეორე საკითხავი წიგნი „მეგობარი“. შემდგენელი თავისს წინასიტყვაობაში ამბობს, რომ „დედა-ენის“ შემდეგ «ბუნების კარზედ» გადასვლა ძნელია, მოუხერხებელია და აი ამ გარემოებამ გაგვაბედვინა ამ წიგნის შედგენაო. „მეგობარი“ შედგენილია უშინსკის წიგნის „Родное Слово, годъ 2-й“-ს ნიმუშზედ და იქიდგანვეა ამოღებული ბევრი მოთხრობებიო.

*** გუშინ, 28 აპრილს, ჩამოვიდნენ ტფილისს და ჩამოხდნენ კავკაზის სასტუმროში: კამერჰერი შაჰისა გულამ-ჰუსეინ-ხან - სადიხ - სულტანე, მინისტრი ხელოვნებათა ჯეხანმირ-ხანი და ადიუტანტ-აბდულ-ყასიმ-ხან-ნასრულმულქ.

*** ხმა დადის, რომ ვითომ ტფილისში სახადი გაჩენილიყოს. ამბობენ, სახადით ავად გამხდარან ვანქის ახლოს მეფარნე მუშები „ქალაქის განათების დეპოსი“ და მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათო. თუ ეს ხმა მართალია, ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას და ღონის-ძიება უნდა იქმნას ხმარებული ამ გადამდების ავადმყოფობის წინააღმდეგ.

*** ცხენის რკინის გზის ვაგონებს აქამდე საზღვარ გარეთიდამ იწერდნენ ტფილისისათვის. თითო ვაგონი უჯდებოდათ 1,400 მან. ამას წინად რამდენიმე ვაგონი აქვე იქმნა გაკეთებული. ახლა ამბობენ, რომ შემდეგისათვის საჭირო ვაგონები სულ აქ გაკეთდებაო. აქ გაკეთებული ვაგონი ჯდება 1,100 მან., ესე იგი ოც-და-ათის თუმნით ნაკლებ, ვიდრე საზღვარ გარეთიდამ დაბარებული.

*** 25 აპრილს მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ ბ-ნმა სლინკომ განიხილა საქმე თამამშოვის ქარვასლის ვაჭრისა გრიგოლ მელქიკოვისა და მის ნოქარის სარაჯიშვილისა. მელქიკოვი ამტყუნებდა სარაჯიშვილს: ფარჩა და ათი თუმანი ფული მომპარაო, ხოლო სარაჯიშვილი აბრალებდა მელქიკოვს, ცილი დამწამა და თავ-ნებობით მოიქცა ჩემ შესახებაო. მაგან დამაბრალა, რომ ვითომ პიჯაკი და ჟილეტი, რომელიც ტანზე მეცვა, მაგის მაღაზიიდამ მოპარულის ფარჩისა იყოსო; სახლში მომიგზავნა ნოქრები და წაალებინა ის პიჯაკი და ჟილეტიო. მელქიკოვი კი ამბობდა, რომ სარაჯიშვილმა დაარიგა მკერავლი, არშაკ არშაკოვი, ნუ იტყვი, თუ მე შენ შეგაკერინე ეს ტანისამოსიო. ხოლო როცა ვკითხე, სად იყიდე ეგ მატერია-მეთქი, სთქვა, რომ ქვეინოვის მაღაზიაშიო. ვკითხეთ ქვეინოვსაც და ქვეინოვმა უარი სთქვა, ჩემგან არ უყიდნიაო. ყოველივე ესე გამოძიებიდამაც აღმოჩნდა. მოსამართლემ გაამართლა მელქიკოვიცა, რომელსაც ცილის-წამება ჰბრალდებოდა, და სარაჯიშვილიცა, რომელსაც ქურდობაში ამტყუნებდა მელქიკოვი.

*** 18 აპრილს ახალ-სენაკში გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებას კრება ჰქონია. კრებას უნდა გადაეწყვიტნა, სად იყოს სამუდამოდ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელიო. კრების წევრნი სამ დასად გაიყვნენ: ერთს უნდოდა ისევ ახალ-სენაკი, სადაც ეხლა სასწავლებელია, მეორეს—მარტვილი, სადაც ძველად იყო, და მესამეს—ფოთი. საქმე კენჭის ყრაზე მიდგა. ახალ სენაკს 27 თეთრი კენჭი ამოუვიდა, მარტვილსა და ფოთს—ოც-ოცი. მოწინააღმდეგეთ არ იყაბულეს კენჭის-ყრა,—უკანონობა შევნიშნეთო. თავმჯდომარემ ორი კენჭი მიითვისაო, აფხაზეთის ეპარქიის დეპუტატებმაც მიიღეს მონაწილეობაო და სხვ. საქმე ამ რიგად დაუბოლოვებელი დარჩა. ახალ-სენაკელებმაც, მარტვილის მიბაძვით, 10,000 მან. გამოიღეს, ოღონდ ამ სასწავლებელს ჩვენ ნუ მოგვაშორებს მთავრობაო.

*** მეგრულად ლოცვების გადათარგმნის საქმეც განუხილავს ამ კრებას. ეს საქმე კრებისთვის მიუნდვია გურია სამეგრელოს მღვდელ-მთავარს ეპისკოპოზს გრიგოლს. კრებას გაუსინჯავს ლოცვები, აშორდიასაგ და მის კამპანიისაგან (რომელთაც „გამშორდისტებს“ ეძახიან მღვდლები) გადათარგმნილები და უარ უყვია. სამღვდელოთა კრებას შეუდგენია ამ საგანზე განაჩენი რუსულად და ყველას, სახელდობრ ორმოც-და-ორს კაცს, ხელი მოუწერია ზედ. განაჩენში დეპუტატებს აუხსნიათ, რომ სასაცილო თარგმანია აშორდიას თარგმანიო. ლოცვების თარგმნა ამ გვარად მავნებელი იქნება და მწვალებლობას გამოიწვევს ხალხშიო. მღვდლებს არ მოსწონთ საზოგადოდ ეს საქმე, რომელსაც «აშორდიზმი» დაარქვეს.

*** აქაურს გაზეთებს მოსვლიათ ამბავი სტამბოლიდამ, რომ სომეხთ არტისტი ადამიან მძიმედ არის ავადაო.

*** ყაზახიდამ გვწერენ, რომ ჰასან-აღას ავაზაკთა დასისათვის დაუწყიათ დევნა და ამ დღეებში რამდენიმე მათგანი კიდეც მოუკლავთ. მოუკლავთ აგრეთვე თვით ბელადი დასისა ჰასან-აღა. ოთხი მისი ამხანაგი შეუპყრიათ და დაუმწყვდევიათ ციხეში.

## სასამართლოს მატიანე *)

(აზნ. წინამძღვრიშვილის საქმე)

ამ გვარად, ბ-ნო მოსამართლენო, ვგონებ დაგიმტკიცეთ, რომ აქ წინამძღვრიშვილზედ ვერ მიიტანთ ეჭვს. ახლა თვით მკვლელობის გარემოებანი განვიხილოთ. ეიუბ-სალა ოღლი ამბობს, რომ სამის დღის წინად გავსინჯე მკვლელობამდე წინამძღვრიშვილის სახლიო და ამ სამის დღის წინად გვთხოვა წინამძღვრიშვილმა ცოლის მოკვლაო. ვიკითხოთ ახლა, მართლა ასეა-კი? ჩვენ გვაქვს ჩვენება პოლიციელის ანტიმონოვისა, რომელიც ამბობს, წინადაც მინახავსო ეიუბ-სალა ოღლი, ესე ორის სამის კვირის წინად, რომ გრიბოედოვის ქუჩაზედ დადიოდა და რაღასაცა ჰზვერავდაო. მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვებს, კი არ გაიარა, დადიოდა, ე. ი. ხან იქით წავიდოდა, ხან აქეთ წამოვიდოდაო. მაშასადამე, სამს დღეზე ადრე სდომებიათ წინამძღვრიშვილის ცოლის მოკვლა. ასე რომ არის კიდევ მეხუთე ავაზაკიც, რომელსაც ადრევე დაუქირავებია 4 კაცი და ოლგა თევდორეს ასულის მოკვლა შეუპირებია. ან რა დასაჯერია, რომ ოთხი ავაზაკი 200 მან. დათანხმებულიყო კაცის მოკვლაზედ, ასე ნაშოვნს ფულს მინდობოდა იმ კაცს, რომელსაც ორასი გროში ნაღდი არ ჰქონდა, და თითონკი კატორღაში გასეირნებულიყო. განა გამოცდილი და ავაზაკობაში გამობრძმედებული ყაზახჩევი ხუთ თუმნად იკისრებდა ადამიანის მოკვლას, ისიც ნისიად? ყაზახჩევი-კი არა, არც ერთი გონიერი ადამიანი არ მოჰკიდებდა ასეთს საქმეს ხელს. აშკარაა, ამ საქმეში წინამძღვრიშვილი სულ არ ურევია.

მიაქციეთ აგრეთვე ყურადღება ქ-ნ ნაკოლაევის ჩვენებას, რომელიც ამბობს, ენახე, რომ ეიუბ-სალა ოღლი და გვინანე ერთმანეთს კარგა ხანს ელაპარაკებოდნენო. როცა გადავალ გვინანეს ჩვენებაზედ, დიდ-ძალს უთანხმოებასა და არეულ-დარეულობას გიჩვენებთ იმის სიტყვებსა და ეიუბ-სალა-ოღლის სიტყვებს შორის.

ყაზახჩევი ამბობს, რომ ეიუბმა მოჰკლაო, ეიუბი—ყაზახჩევმაო. ამასობაში-კი ეიუბ-სალა-ოღლის მეორე ეზოში ამოუყვია თავი, საიდგანაც გასხლტომია მაიგალდოვს. აშკარაა, ეიუბ-სალა-ოღლის ოთახში უვლია, რადგან წაღების ძირები სისხლში ჰქონია მოთხუპნული, და შემდეგ ფანჯრის ბადიდგან გადამძვრალა მეორე ეზოში. ამასვე ამტკიცებს იმისი გაპაწრული თვალის ქუთუთო და ცხვირი.

*) იხ. „ივერია“ №№ 85, 86, 87 და 88.

---

თუბალებიო. ეს სკვითების ამბავი იმიტომ მოჰყავს ავტორსა, რომ სთქვას ვითომც მთელი რვა თუ ათი საუკუნე ქართველებს ეძინათო. ამ სახითაო, განაგრძობს ავტორი მეორე წერილში, მეშვიდე საუკუნეს ქრისტეს შობამდე საშინელმა თავ-დასხმამ სკვითებისამ (ზოგან ხაზარებს ამბობს) გამოაღვიძა ტკბილის ძილისაგან ქართველები და გამოიყვანა დაუწყნარებელ ბრძოლის საქვეყნო მოედანზედაო. ხაზარები, შეჭირვებულნი მიდიის ძლიერ მეფის კიაქსარისაგან, შევიდნენ იმ დრომდე შეუვალ ადგილებში კავკასიის მთისაში და იპოვეს რა დარიალის გასავალი, აქამდე ქართველთათვის უცნობი[7]), გავიდნენ და კავკასიის ჩრდილოდ გაიმართეს თავისი სახელმწიფოვო. ჩვენ ხაზარების, თუ სკვითების გამო არ გამოვეკიდებით ავტორს, ეს მის ნებაზე მიგვიგდია.

საქმე აქ იმაშია, რომ ავტორის მიერ დაწუნებულ „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით ავტორი უარ-ჰყოფს მსოფლიო ისტორიის დანადგენს. აქ რაკი კიაქსარი ახსენა, სხვათა შორის იმასაც გვეუბნება, რომ კიაქსარმა ააშენა დარუბანდიო (დერბენტი) და ქართველებმა ამ დროდამ ისწავლეს ქვითკირის ხმარება შენობისათვისაო. ეხლა ყველანი ამბობენ, რომ დარუბანდი სასანიდებისაგან[8]) არის აშენებული. ამას ჰმოწმობენ ყველა წყარონი აზიის ისტორიისა და ამასვე უჩვენებს თურმე ფალაური (პეხლეური) წარწერა დარუბანდისა. თუ აქ ავტორს დარუბანდად მიუღია « კასპიის კარი », ამაშიაც შემცდარა, ჩვენის ფიქრით, რადგანაც პტოლომეოსის გეოგრაფიით „კასპიის-კარი“, ანუ ქართლის ცხოვრების „ზღვის-კარი“ დარუბანდის დასავლეთით არის თურმე. აშკარაა, ჩვენი «ქართლის ცხოვრება» მიჰშველებია აქ ავტორს. აი რა საბუთით ვამბობთ ამას. ავტორი გვარწმუნებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი კიაქსარიაო. აფრიდონის ერისთავმა „არდამ“-მა, აფრიდონისგან გამოგზავნილმა ქართლის შესამუსრევლად, ააშენაო „ქალაქი ზღვის-კარს და უწოდა სახელი დარუბანდიო“, ამბობს „ქართლის ცხოვრება“. ავტორს უსათუოდ აქედამ გამოჰყავს თავისი ზღაპარი დარუბანდის აშენებისა კიაქსარისაგან, იმიტომ-რომ ავტორის კიაქსარისაგან, ანუ „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონისაგან აშენება დარუბანდისა მარტო ჩვენს მატიანეშია ხსენებული და, ჩვენის ფიქრით, სხვაგან არსად. იქნება სხვაგანაც იყოს სადმე და ჩვენ მხოლოდ ჩვენს უვიცობას ვაღიარებთ ამ შემთხვევაში.

ან საიდამ გამოიცნო ავტორმა, რომ „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი მართლა კიაქსარია? თუ თვითონ „ქართლის ცხოვრებას“ ჩაჰკვირვებოდა, დაინახავდა, რომ ჩვენის მატიანის „აფრიდონი“ რაღაც მითური გმირია, „რომელმან შეკრა ჯაჭვით ბევრასფ, გველთა უფალიო, და დაება მთაზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალიო“[9]). განა პირდაპირ არა სჩანს აქედამ, რომ ეს «აფრიდონ» რაღაც ზღაპრული გმირია და არა კიაქსარი. აშკარაა, აქ «ქართლის ცხოვრება» იმეორებს იმ მითურ გმირის სახელს, რომელსაც ფერდუსი თავის შაჰ-ნამეში იხსენიებს ფერიდუნად, ანუ ფრედუნად და რომელსაც მინამ გამეფდებოდა სპარსეთში, რაღაც საქმე ჰქონია სპარსეთის მეფის სოლაკის გველებთან. თუნდ ეგეც არ იყოს, „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება იქავ, რომ აფრიდონის კარგა შემდეგ ქეკაპოს ყოფილა სპარსთა მეფეთ, იმას ჰყოლია შვილი ფარშაროტ (ფრაორტი) და ფრაორტის შვილად მეცნიერნი ჰგონებენ კიაქსარსა[10]), თუმცა მართალია, სკვითების შემოსვლის ხანებში ყოფილა ეს „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი და მსოფლიო ისტორიის კიაქსარიც ამ დროსვე იყო, მაგრამ მარტო ამით განა დასაჯერია, რომ აფრიდონი და კიაქსარი ერთი და იგივე კაცია. აშკარაა, „ქართლის ცხოვრებას“ აურევია სახელები და იგი აფრიდონად იხსენიებს მითურს გმირსა და არა კიაქსარსა, თუნდ კიაქსარის დროების ამბავიც რომ ვიგულისხმოთ მის მიერ მოთხრობილში. მაინც და მაინც ამაში ძალიანაც არ ავუხირდებით ავტორს. მივიღოთ მისი აზრი, რომ აფრიდონი „ქართლის ცხოვრებისა“ მსოფლიო ისტორიის კიაქსარია.

ჩვენ ხომ მოვიხსენიეთ, რომ კიაქსარს, რომელიც მეშვიდე საუკუნეში სცხოვრებდა ქრისტეს შობამდე, არ აუშენებია დარუბანდი, არამედ ააშენეს სასანიდებმა, რომელთა დინასტიაც მესამე საუკუნის პირველ ხანებში ქრისტეს მერმედ ავიდა სპარსეთის ტახტზედ. რადგანაც აფრიდონი „ქართლის ცხოვრებისა“ კიაქსარად მონათლა ავტორმა და რადგანაც აფრიდონის დროს აშენდა, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, დარუბანდი, აშკარაა ჩვენი ავტორი „ქართლის ცხოვრებას“ დაჰფუძნებია, იმიტომ-რომ ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, სხვაგან არსად იხსენება ამ რიგად. თუ ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ისეთი სანდოა, რომ მსოფლიო ისტორიაში არსებულ აზრს დარუბანდის აშენებაზე აუქმებინებს ავტორი, მაშ რაღად მოიხსენა უწინ ისეთის ცხვირ-აწევით, თითქო რაღაც ულირსი რამ, ვილაც კომისიისაგან შეთითხნილი და ისიც „въ армянской передѣлкѣ“. თუ ესეთი სანდოა ჩვენის ავტორისაგან აბუჩად აგდებული „ქართლის ცხოვრება“, მაშ რაღა საბუთი ჰქონდა ავტორს იგი მასალადაც გამოსაყენად არ ჩაეთვალა. ჩვენ კვლავაც ვნახავთ გზა და გზა, რომ ჩვენი კრიტიკის მოყვარე ავტორი „ქართლის ცხოვრებას“ ტყუილსაც უჯერებს, როცა უჯობს თავის სიტყვის გასაყვანად, და როცა არ უჯობს, მისი მართალიც არა სჯერა.

რად უნდოდა ყველა ეს სიდონები, ქალდეები, რამზესები და კიაქსარები ავტორსაო, იკითხვენ. მათ უნდოდა, რომ დაემტკიცებინა ქართველების ისტორიული არარაობა, ვითომ რაკი ისტორიამ მთელი ათასი წელიწადი იგინი აღარ ახსენა, სჩანს ხსენების ღირსნიც არ იყვნენო. ამას არ სჯერდება ავტორი და ჰსურს ამ მის მიერ ტყუილად მოგონილს ქართველების არ-ხსენებას ფილოსოფიური საბუთიც მოუპოვოს. აბა აქ არის ის არეულობა ავტორისა, რომელსაც თვით სკვითებისაგან მომხდარი არეულობა აზიაში არ შეედრება. ჩვენ აქ, სწორედ მოგახსენოთ, ვერა გავიგეთ-რა და ვგონებთ, არც ბევრი თვითონ ავტორს გაუგია. ეგ კიდევ არაფერი: ავტორი არავითარს ღონისძიებას არ გვაძლევს ერთს რასმეზედ შევჩერდეთ და იმაზე ვისაუბროთ, რადგანაც თი-

[7]) ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ამავე ავტორის სიტყვით, მცხეთა დარიალის შესავალშია და გვიკვირს ავტორს როგორ მოუთავსდა თავში, რომ ქართველებს თავისი სატახტო და დედა-ქალაქი დარიალის შესავალში ჰქონიათ და დარიალი-კი არა სცოდნიათ, ვიდრე სკვითებმა არ დაანახვეს. მოდით და ან ერთი დაუჯერეთ და ან მეორე! კრიტიკა აქ თავის თავად ეტყოდა ამის მთქმელს კაცსა—მომიხმარეო, რომ კრიტიკისა მართლა რამე გაგება ჰქონოდა.

[8]) სასანიდების დინასტია ავიდა სპარსეთის ტახტზედ 226 წელს ქრისტეს მერმედ (კორში, ტ. I, გვერ. 170) და კიაქსარი მეშვიდე საუკუნეში იყო ქრისტეს წინად.

[9]) იხილეთ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 23.

[10]) ვებერი: ტომი I, გვერდი 407.

მაიკალდოვის ცემისაგან თვალის ქუთუთო თავის დღეში არ გაეკაწრებოდა, შუბლი გაუსქდებოდა, თვალი შეიძლება ამოვარდნოდეს, მაგრამ თვალის ქუთუთოზედ-კი ნაკაწრი არ ექნებოდა.

ან თუ ეიუბ-სალა-ოღლის და არნაპოვის გოგოს გვინანეს ერთმანეთში შეთქმულობა არა ჰქონდათ, რატომ გოგოს-კი ხელი არ ახლო მკვლელმა, რად დასტოვა თავის ავაზაკობის მოწამე, რომელიც კარგად ჰნახავდა ბოროტ-გამზრახველს მოკლულის მიერ გამონათებულ ლამპრის სინათლეზე და გასცემდა. აშკარაა, გოგო და ავაზაკი შეთქმულნი ყოფილან, გოგოს შეუშვია ეიუბ-სალა-ოღლი სახლში, თითონაც იქა ყოფილა მკვლელობისას და არა კარებთან, როგორც თითონ ამბობს. შემდეგ დაუმალავს ავაზაკი მეორე ოთახში, ისიც იქიდგან რკინის ბადიან ფანჯარაში გადასულა და სახე დაუკაწრავს. ამას აშკარად ამტკიცებს გვინანეს კოფტაზედ ნაპოვნი წინწკლები სისხლისა. მაიკალდოვი ამბობს, რომ კარების მოსახურავად ჯერ ისევ გაწვდენილი მქონდა ხელი, რომ ამ დროს გამიძვრა ავაზაკი მკლავ ქვეშაო. ეს ისე სწრაფად მომხდარა, რომ მაიკალდოვს ვეღარ შეუნიშნავს, არ ვიცი ეზოდგან გამოვარდა ეიუბ-სალა-ოღლი, თუ ქუჩაზედ მორბოდაო. შემდეგ დაჭერის დროს დაიხარა დედამიწისკენ, არ ვიცი დასწვდა რასმე, თუ დააგდო რაღაცაო. აშკარაა, ეიუბ-სალა-ოღლის ამ დროს სისხლიანი დანა უნდა დაეგდოს. ეს დანა შემდეგში უძებნიათ, ვერ უპოვნიათ, მაგრამ რა ვუყოთ, იქნება ამხანაგებიც უკან მისდევდნენ მკვლელს და მიჰქმალეს სადმე ეს უტყუარად დამამტკიცებელი გეში მკვლელობისა.

მაღალოვი და გაბაშვილი ამბობენ, რომ წინამძღვრიშვილი ჩვენთან მოვიდა და გვითხრა, ვინ მოჰკლა ჩემი ცოლი ხომ არ იცითო. შუბლაძისასაც ამ აზრითვე მისულა ჩემი მრწმუნებელი, რომ აღმოეჩინა როგორმე თავისის ცოლის მკვლელეაი. აბა მომკვლელი ასე იქმოდა, განა ასე მოიქცეოდა, თავისი ცოლი რომ სძულებოდა. ეხლა ეს სიყვარული ცოლის მიმართ მკვლელობაში მონაწილეობად ჩამოართვეს. ასე რომ არ ექნა, მაშინ უფრო დასწამებდნენ, ეგ უნდა იყოს, ვერა ჰხედავთ როგორ გულ-არხეინად არის და ბუზსაც არ იფრენს, არა სცდილობს ავაზაკთა გამოაშკარავებასაო.

გადავიდეთ გვინანეს ჩვენებაზედ. გვინანე ამბობს, რომ მკვლელმა ხელი მკრა, მე იქვე კარებთან დავეცი და თითონ-კი ქალბატონს ეძგერა და დასჭრაო. თუ ასე მოხდა, თითონ ქუჩის კარებთან უნდა დაცემულიყო, ხოლო წინამძღვრიშვილისა-კი იქვე აივანზედ. ამასობაში დაჭრილი-კი შესულთ დარბაზის კარებთან მწოლი ჰნახეს. მაშასადამე, თუ სახეში ვიქონიებთ კოფტას გვინანესას, აშკარაა, სტყუის, ისიც მოკლულთანა მდგარა, პირველის დანის დაკვრის წინწკლები გულზედ აჩნევია და ამას გარდა მარცხენა მხარზედ ხუთის თითის სისხლიანი ნიშანი აქვს. ცხადია, დაჭრილი ოლგა თევდორეს ასული ზედ დაჰყრდნობია გოგოს და ისე შესულა სახლში, მაგრამ დარბაზის კარებს იქით ვეღარ გაუტანებია.

შემდეგ ნიკოლაევისა ამბობს თავისს ჩვენებაში, რომ როცა წინამძღვრიშვილი მოვიდა წივილის ხმაზედ, ბევრი არახუნა, ბევრი იხვეწა, ცოლს სახელს უძახდა, მაგრამ კარები არავინ გაუღო და იძულებული იყო შემოემტვრია და ისე შემოსულიყოვო. თვალ-ნათლივა სჩანს, რომ აქაც გვინანე განგებ არ უღებს ბატონს კარებს, რათა ავაზაკს რკინის ბადიან ფანჯარაში გადასვლის დრო მისცეს. განგებვე ამბობს გამომძიებელთან, რომ შემეშინდა და იმიტომ არ ვაღებდი კარებს, ვფიქრობდი, იქნება ეგეც ავაზაკია ვინმე და ყველას გვიპირობენ დახოცვასაო. მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებასაც: მეზობლები ამბობენ, რომ იმ ერთის კვირის განმავლობაში გვანანე თითქმის ყოველ საღამოს ეზოს კარებს ყურამდე აღებდა იმ მიზეზით, რომ ცუდი, დახშული ჰაერი ტრიალებს ეზოში და ოთახებში ბუღი სდგასო. აშკარაა, მიზეზი ბუღი კი არ არის, ის არის, რომ ამხანაგებს მოელაპარაკოს როგორმე და ნიადაგი მოუმზადოს მკვლელობის ჩასადენად.

აბლოგინი ამბობს, რომ ერთის კვირის წინად ყაზახჩევმა წინამძღვრიშვილი იკითხა პოლიციაშიო. წინამძღვრიშვილმა ამის შესახებ მითხრა, არ ვიცი-კი რამდენად მართალია, რომ ყალბი ფული დადიოდა მაშინ და ყაზახჩევი მპირდებოდა, რომ იმათს გამავრცელებლებს მე გიპოვნითო. ვსთქვათ, ეს ამბავი მოგონილად ჩასთვალოთ. მერე რაო? განა ყაზახჩევის პოლიციაში მისვლა წინამძღვრიშვილის დამნაშაობას ამტკიცებს? იქნება ოთხ-ხუთს კაცს პირობა ჰქონდათ დაელუპნათ წინამძღვრიშვილი და განგებ კითხულობდნენ, იქნება სთქვეს კიდეც, რომ ისიც ჩაერიოთ საქმეში და გვიშველის, დაგვეხმარებაო.

ბრალმდებელმა გადაასხვაფერა აბლოგინის ჩვენება და ამბობს, რომ წინამძღვრიშვილს განზრახვა ჰქონდა როგორმე პოლიციელი მოეშორებინა თავის სახლისთვის, ლაპარაკში გაერთო და ამ გვარად მკვლელებისათვის ხელი მოემართაო. აბლოგინი აი რას ამბობს: ვეცოდებოდი და კი არ დავუჯერივარ, არ დავუბანდებივარო. ისა ჰლაპარაკობდა, მე-კი ავდიოდი და როცა დაუპირისპირდებოდი, მაშინ კვლავ გავაპამდით ხოლმე ლაპარაკს სიარულშიო. საბუთების ასეთი უთავ-ბოლოდ არევა შესაწყნარებელი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოწამეს ჩვენების ასე გადასხვაფერების წყალობით ბრალდებულმა ოცი წლიწადი კატორგაში უნდა გაატაროს.

ბრალდებითს ოქმში გასამტყუნებელ გეშად არის ცნობილი ის გარემოება, რომ წინამძღვრიშვილი ყაზახჩევის დაპატიმრების შემდეგ შუბლაძისას იყო, მოელაპარაკა და ამ მოლაპარაკებას შედეგად ის მოჰყვა, რომ შუბლაძისამ ხელი დააფარა ყაზახჩევს, სთქვა —არტემა მკვლელობის საღამოს სულ შინ იყო და არსად გასულაო. ამის შესახებ მაღალოვი და გაბაშვილი ამბობენ, რომ წინამძღვრიშვილი ჩვენ გავაცანით შუბლაძისას, ცხადად ეტყობოდათ, რომ ერთმანეთი არ იცნობდნენ მანამდეო. ტომაშევსკი და შევჩენკო ამბობენ, რომ როცა წინამძღვრიშვილი პირველად მოვიდა შუბლაძისას, ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა და სახლის ნომრებსა ჰსინჯავდაო. გასცდა კიდეც სახლს, ხოლო შემდეგ დაბრუნდა და შევიდაო. რაღა თქმა უნდა, წინამძღვრიშვილი ეძებდა სახლს შუბლაძისას, რაკი შეიტყო, რომ ყაზახჩევი იმის სახლში დააპატიმრესო, უნდოდა ნამდვილი გაეგო, თავის თვალით დარწმუნებულიყო იმის დანაშაულში. სახლი რომ სცოდნოდა, რად გასცდებოდა, სახლების ნომრებს რად დაუწყებდა ძებნას? ან ქალი რომ სცნობიყო, ისიც რომ ამხანაგი ყოფილიყო ამ საქმეში, იმის სახლი როგორ არ ეცოდინებოდა, საძებნელად რაღად გაიხდიდა? ან განა სხვა ადგილს ვერ დაუნიშნავდა მკვლელობის ამხანაგს, იმის სახლში რომ არ მისულიყო? აბა ლოგიკა სად არის აქა! გვინანე ამბობს, ენახე, რომ წინამძღვრიშვილი და ყაზახჩევი ერთად ლაპარაკობდნენ სახლის წინაო. არა, რა ჭკუაში მოსასვლელია, წინამძღვრიშვილი იმდენად სულელია, რომ თავის ცოლის მკვლელთან თავისსავე სახლში ჰქონოდა მოლაპარაკება, სხვა ადგილს ვერ იშოვნიდა, უფრო დაფარულს?

როგორც ჰხედავთ, ბ-ნო მოსამართლენო, ამ საქმეში არც ერთი საფუძვლიანი გეში არ არის, არც ერთი შესაწყნარებელი საბუთი მისი, რომ ვითომ წინამძღვრიშვილს მიეღოს მონაწილეობა ამ მკვლელობაში. ამიტომ სრული იმედი მაქვს, რომ ჩემს მრწმუნებელს გაანთავისუფლებთ, უდანაშაულოდ იცნობთ და ბრალს აჰყრით.

დოლგოლენკოს შემდეგ ეიუბ-სალა-ოღლის დამცველმა ბ ნმა მელიქ-ადამოვმა ილაპარაკა და სულ ორიოდე სიტყვა სთქვა. ბ ნმა დამცველმა დაასახელა, რომ ეიუბ-სალა-ოღლის წყალობით გამომჟღავნდა ეს საქმე, იმან მოუმართა გამოძიებას ხელი დამნაშავეთა აღმოჩენაში. თუ ამისი პირველი ჩვენება ვირწმუნეთ, მართალი უნდა იყოს ისიც, რომ თითონ არ მოუკლავს წინამძღვრიშვილისა, არამედ დარაჯადა მდგარა გარეთ და ამით ხელი მოუმართავს მკვლელობისათვისაო. ამ მიზეზით და იმისთვის, რადგან 18 წლისაა, არა სრულ-წლოვანი, ყოვლად ბრიყვი და გაუნათლებელი, იმედი მაქვს სასამართლო სასტიკად არ დასჯის ეიუბ-სალა-ოღლის და, რამდენადაც-კი შესაძლოა, შეუმცირებს დანაშაულსაო.

ამას შემდეგ თავმჯდომარე კვლავ დაეკითხა ბრალდებულთ, სათქმელი ხომ არა გაქვსთ-რაო.

წინამძღვრიშვილი. ჩემმა დამცველმა ყველაფერი სთქვა, დასამატებელი აღარა მაქვს-რა. ამ საქმეში მე დანაშაული არა მიმიძღვის-რა და

---

თონაც არა სდგას ერთს რომელსამე აზრსა და დასკვნაზედ, არ არის თითქმის არც ერთი ფურცელი მის ნაწერისა, რომ ერთხელ თქმული ისევ არ გადასთქვას სულ სხვა რიგად და ერთმანეთში მოუთავსებლად. ამიტომაც ჩვენ მარტო მაგალითებს ამ წაჯეგ-უკუჯეგობისას წარმოვადგენთ და მათს განკითხვას-კი თავს დავანებებთ.

ავტორს მოჰსურვებია-რა ახსნას რანი ვიყავით ქართველები ან სათავისოდ, ან სამეზობლოდ და რა მნიშვნელობა გვქონდა ან სათვისტომოდ, ან სასხვისოდ, ასე გვიხატავს ჩვენს ყოფა-მდგომარეობასა:

„Территоріальная недоступность не только надолго изолировала ихъ (грузинъ) отъ живаго общенія съ цивилизованными сосѣдями запада и востока, но препятствовала также объединенію разрозненныхъ вѣтвей самаго грузинскаго племени[11])

დავიხსომოთ, ვითომც ჩვენის ქვეყნის ადგილ-მდებარეობის შეუვალობამ ისე შეგვამწყვდია და შეგვკეტა, რომ აღარც-რა ვინ მოგვაკარა და აღარც-რა ვის ჩვენ მივეკარენით. მერე კიდევ ამბობს ავტორი, რომ ამ გეოგრაფიულმა განყოფილებამ ისე გაგვიხადა საქმე, რომ თვითეული ცალკე თემი საქართველოსი ქართველთათვის იქმნება იმოდენადვე უცნობი-ყოვო, რამოდენადაც უცხოთათვისაო[12]). აქედამ ცხადიაო, რომ მდუმარებდა ქართველებზედ ისტორია მთელი ათასი წლიწადი პირველ ხსენების შემდეგაო [13]). სასაცილოა!.. ჩვენ ხომ ენახეთ, ათასის წლის დუმილი როგორი მართალი გამოდგა და ეხლა ავტორმა თეორიული საბუთიც დაუდვა სარჩულად. ეგრე აშკარად გამართლება თეორიისა საქმით ჯერ სხვა მეცნიერს ბედად არა სწვევია.

ამ საქმით აშკარაა, რომ აქ ავტორი გვიმტკიტებს ქართველების კარჩაკეტილობას, რომელმაც არც სხვა ვინმე მიაკარა ქართველებს და არც თითონ ქართველები სხვებსა. გგონიათ, რომ ამაზედ დასდგეს ავტორი? თქვენგან არ გვიკვირს. ამიერ-კავკასიაო, მაშასადამე საქართველოც, „Эта исконная арена боевыхъ встрѣчъ всевозможныхъ племенъ человѣчества[14])“, ამბობს იგივე ავტორი სხვაგან როგორ მოგწონთ ჯერ ის კარჩაკეტილობა და მერე ეს „исконная арена боевыхъ встрѣчъ всевозможныхъ племенъ человѣчества“.

ვსთქვათ, ეს „იყო და არა იყორა“ დავუთმეთ ავტორს. ერთი ეს ვიკითხოთ: ან როდის გამოვუყარეთ ურდული ჩვენ კარ-ჩაკეტილობას (замкнутость-ს ავტორისას), ან როდის და ვინ შემოგვიმტვრია კარი და ქვეყანაში გამოგვიყვანა. ავტორი გვარწმუნებს, რომ ეს მოხდაო ფარნავაზ მეფის შემდეგაო, ესე იგი, არა უწინარეს მესამის საუკუნისა ქრისტეს შობამდე. ამას გვანიშნებს ავტორის სიტყვები, როცა გვეუბნება, რომ დიდი გზა რიონისა გააკეთეს „послѣ Фарнаваза (перваго грузинскаго царя, жившаго въ III вѣкѣ), когда замкнутость Грузіи была нарушена ея зависимостью отъ Персіи...“[15])

სჩანს სპარსეთმა მესამე საუკუნის შემდეგ გამოუმტვრია კარი ჩვენს ჩინჩაკეტილობას. გგონიათ, რომ ან აქ მაინც დასდგეს ამაზედ ავტორი და ეს აღარ გადასთქვას. ნურას უკაცრავად: ჩვენ სხვა ლეკი-ბიჭები ვართ. როცა კიაქსარმა გაამაგრა მცხეთა და ააშენა დარუბანდიო, „съ этого момента уже начинается прямая связь Грузіи съ Ираномъ, сношенія ихъ дѣлаются болѣе живыви и частыми и Грузія мало-по-малу вовлекается въ русло исторической жизни востока“ და სხვანი[16]). ან ამას გაკმარებთ განა! ახლა სხვაგან აი ამაზევე რას ბძანებს ავტორი: „Начиная съ нашествія скифовъ и до завоеванія Персіи и Грузіи арабами она почти непрерывно жила общею жизнью съ Ираномъ“...[17]) გეგონათ ამას მაინც დაგვაჯერებთ ავტორი! აი კიდევ სხვა: „уже при первыхъ Ахеменидахъ (въ VI в. при Кирѣ) Грузія становится пристанищемъ самыхъ разнообразныхъ пришлецовъ“... და სხვანი.

ეს რა არის კიდევ. ავტორი სხვას უფრო საკვირველს გვეუბნება. თურმე ნუ იტყვით დღეს ჩვენში არიან ცალკე მოსახლობანი (колоніи) ხაზარებისა, რომელნიც კიროსის დროიანი არიან, ვითომც-და თავისი ენა შეუნახავთ ისე, როგორც მათთა ძველის ძველ წინაპართა ჰქონიათ. თუ არ დაგვიჯერებთ, აი ავტორის სიტყვებიც: „...Мы встрѣчаемъ здѣсь (въ Грузіи) и въ наше время потомковъ, изгнанныхъ Навуходоносоромъ, евреевъ, а также туранцевъ, хозаръ и грековъ, живущихъ обособленными группами, быть можетъ, со времени Кира, сохраняя свои права (?), привычки, національный типъ и языкъ почти какимъ онъ былъ во времена ихъ далекихъ предковъ“.[18])

ბერძნებისა და ებრაელებისა რა მოგახსენოთ და ამ ხაზარების ყოფნა-კი ჩვენში დღეს პირველი გაგონებაა. მეცნიერებს პატარა ბუნდადა აქვთ წარმოდგენილი ამ ხაზარების ვინაობა და, რადგანაც ჩვენში ესენი ისე კარგად დაბინავებულან, რომ თავისი ძველის-ძველი ენაც თითქმის შეუცვლელად შეუნახავთ, რა დიდი სიხარული აუტყდებათ სწავლულთა და მეცნიერთა, რომ ასეთი შემთხვევა ეძლევათ ზედ-მიწევნით შეიტყონ ამ ერის ვინაობა. სამწუხარო ეს არის მარტო, ვაი თუ ჩვენს ავტორს ცოტაოდენად გაუჭირდეს ამ ხაზარების ბინაზე მიყვანა ვისიმე. მაგრამ რა ვუყოთ, განა ტყუილად არის ნათქვამი, — გაჭირება მიჩვენე მე გაქცევას გიჩვენებო. ვერ გაექცევა თუ? რა გაუძნელდება იმას, ვინც ერთის კამარით ათასს წლიწადს ზედ თავზე ახტება ხოლმე და ვინც მცხეთას ზურგზე იკიდებს და დარიალის ხეობაში გადააქვს ან იქნება თითოოროლა კაცი, რომელნიც ჩვენში „ყაზარას“ სახელს ატარებენ, ავტორს „ხაზარები“ ჰგონია არც ეს არის შეუძლებელი ჩვენის ავტორისაგან, რადგანაც მისი შედარებითი მეთოდი ეტყოდა, რომ ყაზარა-დალაქი და „ხაზარი“ კიროსის დროინდელი ძალიან ახლონი არიან ერთმანეთზე.

განა დაიჯერებს ვინმე, რომ ეს ყველაფერი ერთისა და იმავე კაცის ნათქვამია ერთსა და იმავე საგანზე, ერთსა და იმავე დროს! რომელი ერთი ამისთანა ამბავი მოვთვალოთ ავტორისა? რომელს ერთს მივყვეთ? რომელს ერთზედ ვუთხრათ ან ჰო, ან არა? კმარა ასე წინა და უკუღმა ტრიალი. ყველაფერს რომ გამოვუდგეთ,

ენა დაშვრების, ყურნიცა
მსმენელთა დავალდებიან,

---

[11]) ჰნახეთ ავტორის პირველი წერილი გვერდი 56.

[12]) Страна (Грузія), которая для каждаго изъ этихъ (грузинскихъ) маленькихъ племенъ была, быть можетъ, такъ-же невѣдома за предѣлами ихъ крошечныхъ поселеній, какъ и для чужеземцевъ! ჰნახეთ მეორე წერილი ავტორისა, გვერდი 37.

[13]) ჰნახეთ პირველის წერილის 57 გვერდი. Отсюда ясно почему послѣ перваго произнесенія имени этихъ племенъ, цѣлую тысячу лѣтъ(?) молчала о нихъ исторія.

[14]) ჰნახეთ 48 გვერდი პირველის წერილისა.

[15]) ჰნახეთ 64 გვ. პირველის წერილისა.

[16]) ჰნახეთ მეორე წერილის 38 გვერდი. აქ შევნიშნავთ, რომ კიაქსარი მეშვიდე საუკუნეში იყო ქრისტეს შობამდე.

[17]) იქვე: 40 გვერდი.

[18]) იქვე: 40 გვერდი.

ვსთხოვ მოსამართლეებს, რომ გაამართლონ.

ჟიურ სადა ოდლი. აღარას ვიტყვი, ყველაფერი ნათქვამი მაქვს.

სასამართლოს განაჩენი უკვე მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ადგილი მისცეთ გაზეთში ამ ჩემს მცირე წერილს:

დიდს მადლობას ვუძღვნი აქაურის გაზეთების რედაქციებს, სახელდობრ „ივერიისას“, „კავკაზისას“, „ნოვოე ობოზრენიისას“ და „მშაკისას“, რომელნიც ჩემის თხოვნით უსასყიდლოდ უგზავნიან თავიანთ გაზეთის თითო ნომერს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს ავადმყოფებს.

სამკურნალოს მღ. ვას. კარბელაშვილი

◆◆

# დეპეშა

27 აპრილი

პარიჟი. გამოფენაზე დასწრების ბილეთებიდამ შემოვიდა პირველ სამს დღეში 333,000 ფრანკამდე.

ესსენი. გუშინ მოხდა სისხლის ღვრა ჯარსა და მუშაობის ამკვეთ მუშებ შორის მთა გორიაში, რომელსაც „გრაფ მოლტკე“ ეწოდება და რომელიც გლადბეკის ახლოა. ამ ჩხუბში სამი კაცი იქმნა მოკლული და ხუთი დაიჭრა. კრუპის ქარხანაში მუშაობა შეაყენეს, რადგან ქვა-ნახშირი დაისაკლისეს. ასევე მოიქცნენ შალკეს ზოგიერთს ქარხნებში.

პეტერბურგის ბირჟა, 25 აპრილი

| | მყიდველი. | გამყიდველი. | ბოლოს გაიყიდა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 51 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 269¾ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში

ქართულ-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა.

მეორე ნაწილი.

ფასი 3 მანეთია.

(6—4)

# ისყიდება

თეთრი და წითელი ღვინო

ახალქალაქში. ღვინის გასინჯვა შეიძლება ყოველ კვირა-დღეობით. მსურველმა ადრესი ჩემი ჰკითხოს გრაკლის სადგურზე სადგურის უფროსს.

(4—1)

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

## „ნუ ახველებ“

თაფლ-ბალახიანი-მალც-ექსტრაქტი და კონფეტები

ლ. ჰ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ხმარების რიგი და წესი:

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დაჰნიშნა ბავშვთათვის 3—4-ჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი, ხოლო უფროსებისათვის ჰხმარობენ ყოველ დღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თავითვე ხმარებით შეიძლება საშემდეგისოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის ავადობა.

ქიმიკურ ანალიზითა და სამკურნალო კამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(17—15)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საუმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . | 3 | |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთხრობა ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ყიფიანისა ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ალიანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




## არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილისა,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოის საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპოპომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—17)


Доз. ценз. Тифлисъ 28-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე